საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-209

17/03/2022

ქ. თბილისი

შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ გადაცემის შესახებ

2022 წლის 18 თებერვალს სამინისტროს განცხადებით მომართეს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა“ და შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ გენერალურმა დირექტორებმა. შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრემ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიაზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2018 წლის 25 მაისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-385 ბრძანება „შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“. აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შესწორების მიზნით, 2021 წლის 30 ივნისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-993 ბრძანება „შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

2021 წლის 16 ივლისის №2-1093 ბრძანებით შპს „RMG Gold“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“. 2021 წლის 24 სექტემბრის №2-1380 ბრძანებით აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან“ გადაეცა შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეს“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს.

სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“;
2. შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ „შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეზე“ გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 24 სექტემბრის №2-1380 ბრძანება;
4. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ და შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრეს“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა“ და შპს „საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი